სანოტარო აქტი

რეგისტრირებულია რეესტრში №090303512

საქართველო

ორიათასცხრა წლის ცხრამეტ ივლისს მე, მედეა გვაზავას, ნოტარიუსს ქ. თბილისში, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზ. №22, II სართული, მომმართეს ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთობლივი საქმიანობის ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობა "ბაგები 502" საერთო კრების თავმჯდომარემ ხიმური რუხაიამ და კრების მდივანმა ლიანა ბერუაშვილმა. მათ მოითხოვეს წინამდებარე 10.07.2009 კრების №7 ოქმზე თავიანთი ხელმოწერების ნამდვილობის სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე მათი პიროვნება მათ მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტებით და დავრწმუნდი რომ მე ნამდვილად ხიმური რუხაიამ (დაბ. 05.10.1946 მარტვილში, მცხ. თბილისი, ნუცუბიძის ფერდ., III მ/რ, კვ. 3, კორპ. 2, ბ. 21, პ/ნ №01010013603, პ/მ №ბ 1238533, გაც. სრს ვაკის სამსახურის მიერ 14.11.2008) და ლიანა ბერუაშვილმა (დაბ. 02.08.1951 თბილისში, მცხ. თბილისი, ხარფუხის შეს. №19ა, პ/ნ №01019008563, პ/მ №ბ 1024576, გაც. სრს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ 07.12.2006) მომმართეს. მე შევამოწმე მათი ქმედუნარიანობა, დავადგინე მათი ნების გამოვლენის ნამდვილობა. ჩემი თანდასწრებით პირადად შეასრულეს ხელმოწერა, რასაც ვამოწმებ.

ეგზემპლარები: 4 (ოთხი) ეგზემპლარი.

გადახდილია საზღაური: 16.00 ლარი (*„სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ" საქართველოს კანონის 29-ე მუხლის შესაბამისად*) და *საქართველოს საგადასახადო კოდექსის 245-ე მუხლის თანახმად* დღგ: 2.88 ლარი, სულ გადახდილია: 18.88 ლარი დღგ-ს ჩათვლით.

ნოტარიუსი: მედეა გვაზავა

ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ერთობლივი საქმიანობის ბინისმესაკუთრეთა ამხანაგობა
"ბაგები -502"-ის საერთო კრების

ოქმი № 7

ქ.თბილისი 10 ივლისი, 2009 წ. 18სთ

თსუ II კორპუსი, ფიზიკის აუდიტორია

კრებას ესწრებოდა ამხანაგობის 65 წევრი.

გამგეობის თავმჯდომარემ ქ-ნმა **დარეჯან კახიძემ** კრებას მოახსენა, რომ:

-ამხანაგობის წევრები: რ.სირაძე, რ.ჩიტაური, შაბატა მაგალი, თ.აბესაძე, თ.ბურჭულაძე, ნ.მესხიშვილი, ა.ჟეგლოვა იმყოფებიან საზღვარგარეთ, ამასთან შაბატა მაგალის რწმუნებულის მინდობილობას ვადა გაუვიდა, ამდენად კრებას ვერ ესწრება. ამხანაგობის წევრმა მ.თოფურიამ განაცხადა, რომ ამ სიას აკლია ბ-ნ ჯემალ ხუბუა, რომელიც ოჯახიანად რუსეთში იმყოფება. **მიუხედავად იმისა, რომ:**

-ამხანაგობის 8 წევრი საზღვარგარეთაა და დროებით მათი უფლებამოსილების შეჩერება და ქვორუმის ჩამოწევა შეგვეძლო;

-ამჟამინდელ გამგეობას ამხანაგობის წევრთა სიის დამოწმებული ერთი მაინც ორიგინალი დღემდე არ გადმოუცია ამხანაგობის ყოფილ თავმჯდომარეს პალადი ჯინჯოლავას, ხოლო ყოფილმა მდივანმა და ამჟამინდელი გამგეობის წევრმა მზია გოშაძემ გამგეობის კრებაზე განაცხადა, რომ ამხანაგობაში 128 წევრის ნაცვლად 125 წევრია, რომ 3 ჩვენი წევრი გადასულია ამხანაგობაში ვაკე-28;

წინა საერთო კრება ა.წ. 3 ივლისს, რომელსაც ამხანაგობის 62 წევრი ესწრებოდა, და სადაც, ფაქტობრივად სადამფუძნებლო დოკუმენტის ახალი რედაქცია მუხლობრივად განვიხილეთ, **უფლებამოსილად არ ჩავთვალეთ და განმეორებით დავნიშნეთ კრება**. გაცნობებთ, რომ ამხანაგობის 128 წევრით, ქვორუმი კვლავ განსაზღვრულია 65 წევრით.

კრებამ თავმჯდომარედ ერთხმად აირჩია ხიმური რუხაია,
ხოლო კრების მდივნად – ლია ბერუაშვილი, რომელმაც თავმჯდომარეს ამცნო რეგისტრაციის შედეგები.

კრების თავმჯდომარემ საერთო კრების უფლებამოსილად გამოცხადების შემდგომ კრებას განსახილველად წარუდგინა გამგეობის სხდომაზე შემუშავებული

<u>დღის წესრიგი:</u>

1. **სავარაუდო ინვესტორის შესახებ;**
2. **ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ბაგები-502"-ის 2002 წლის სადამფუძნებლო დოკუმენტის ახალი რედაქციის განხილვა;**
3. **ამხანაგობა "ბაგები-502"-ის სარჩელზე ხარვეზის შევსებისა და ჰილაიას ჯგუფის სასამართლო საქმის შესახებ (ადვოკატი მანანა აფხაძე);**
4. **ბაგები-502-ის წევრთა საკუთრების დაცვის მიზნით ყველა ინსტანციის სასამართლოში ამხანაგობის წარმომადგენლების წარდგინება;**
5. **მიმდინარე საკითხები:**

ა) კომისიებისა და მათი თავმჯდომარეების დამტკიცება;

ბ) ბ-ნ ზაურ ჯინჯოლავას გამგეობიდან ნებაყოფლობით გასვლის შემდეგ გამგეობის ახალი წევრის არჩევა;

გ) ინფორმაცია ყოფილი გამგეობის (ყოფილი: თავმჯდომარე ბ-ნ პალადი ჯინჯოლავა, ხაზინადარი ბ-ნ ელგუჯა აკობია და მდივანი – ამჟამინდელი გამგეობის წევრი ქ-ნ მარადინა

გოშაძე-ცინცაძისა) მიერ ამხანაგობის საქმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაციის არგადმოცემის შესახებ.

<u>კრებამ კენჭისყრით ერთხმად დაამტკიცა დღის წესრიგი.</u>

<u>მოისმინეს:</u>

ხიმური რუხაიას, დარეჯან კახიძის, ლია ბერუაშვილის, ადვოკატ მანანა აფხაძის, ინფორმაცია.

<u>კამათში მონაწილეობდნენს:</u>

ცეცილი დონაძე, გოგი ციციშვილი, დიმიტრი ლეთოდიანი, დავით მეშველიანი, გურამ ნაჭყებია, ანზორ საჯაია, თამარ აბრამიშვილი,. ლალი გულუა, გიორგი დევდარიანი.

1. <u>საგარაუდო ინვესტორის შესახებ:</u>

<u>ბ-ნმა ხიმური რუხაიამ</u> **კრებას აცნობა, რომ საგარაუდო ინვესტორი ჯერჯერობით უცნობია.** პოტენციური ინვესტორებია: პარლამენტარი **თ.ჩარკვიანი**; სამშენებლო კომპანია "ირაო" (**დ.წერეთლის** ჯგუფი) და ამხანაგობა ბაგები-502-ის წევრთა გარკვეული ჯგუფი, თბილისის მერია (მერიის ახალი ინიციატივის საფუძველზე გამოსული ინფორმაცია).

გამგეობის დავალებით დ.წერეთლის ჯგუფთან **მოლაპარაკებებს მე წავმართავდი, სამწუხაროდ დაპირების მეტი**, რაიმე რეალური ჯერჯერობით არაფერია.

<u>ქ-ნ დარეჯან კახიძე:</u> მეგობრებო, მინდა გითხრათ, რომ ქ-ნი მარადინა გოშაძე-ცინცაძისა ავრცელებს ინფორმაციას, რომ თითქოს ჩვენი სასამართლო საჩივარი და გამგეობის გარკვეული წევრები ხელს უშლიან ინვესტორის შემოსვლასა და მშენებლობის განახლებას. თქვენთვის არაერთხელ მომიხსენებია, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით ვერავითარი ინფორმაცია გარდა დაპირებისა არ მიგვიღია. ამ გამოცდილების გათვალისწინებით:

<u>გთხოვთ,</u> კრებამ შეადგინოს წარმომადგენლობა, რომელიც გამგეობასთან ერთად შეხვდება, როგორც ჩარკვიანის ასევე წერეთლის ჯგუფს, რომელთაგანაც მიიღებეს **წერილობით ინფორმაციას** სავარაუდო ინვესტორის მოძიებისა და მასთან შეხვედრის (პირობების განსახილველად) <u>მაქსიმალურ სავარაუდო დროს.</u>

<u>ქ-ნ ცეცილი დონაძის წინადადებით კრებამ მიიღო</u>

<u>გადაწყვიტილება: 1. პოტენციურ ინვესტორებთან მოლაპარაკებისათვის წარმომადგენლობა შეადგინოს თავად გამგეობამ.</u>

<u>2. ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ბაგები-502"-ის 2002 წლის დამფუძნებელი დოკუმენტის ახალი რედაქციის განხილვა-დამტკიცება.</u>

<u>ქ-ნმა ლია ბერუაშვილმა</u> კრებას მოახსენა ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ბაგები-502"-ის 2002 წლის 17 ოქტომბერს მიღებული დამფუძნებელი დოკუმენტის ახალი რედაქციის შესახებ. ბ-ნ გოგი ციციშვილმა ბრძანა, რომ მის მიერ გამგეობისათვის წარდგენილი სათანადო შენიშვნები ასახულია ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ახალ რედაქციაში.

ლ.ბერუაშვილი: იმ მიზეზით, რომ 2002 წელს მიღებული ბინათმშენებლობის ამხანაგობის დებულების არც ორიგინალი და არც ნოტარიალური აქტი არ გვაქვს, ამხანაგობის გამგეობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც ეფუძნება:

- ამხანაგობის 2002 წლის საერთო კრების ოქმებს (მათ შორის ნოტარიალურად დამოწმებულ საერთო კრების ოქმს №30 2002 წ. 17 ოქტომბერი, კრების თავმჯდომარე ზ.ხვედელიძე, მდივანი მ.გოშაძე, ნოტარიუსი ო.ფაღავა.

- ამხანაგობის გამგეობის წევრებისა და ამხანაგობის წევრთა ხელთარსებული დებულების ქსეროასლებს, რომლებიც იდენტურია ამხანაგობის ყოფილი გამგეობის მიერ გადმოცემული დამფუძნებელი დოკუმენტის ქსეროასლისა;

- ამხანაგობის იმჟამინდელ საერთო კრებებზე მყოფთა ზეპირ განცხადებებს.

- **სამოქალაქო კოდექსს და ამხანაგობის 25 მარტის საერთო კრების მოთხოვნებს.**

წინა კრებაზე სადამფუძნებლო დოკუმენტი სრულად იქნა წაკითხული, ამჯერადაც ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების ახალი რედაქციის ტექსტი დარიგებულია, გათვალისწინებულია და სათანადოდაა ასახული თქვენი შენიშვნები, მათ შორის ბ-ნი გოგის კატეგორიული მოთხოვნა ამოგველო ჩვენი შენატანების ჩამონათვალიდან ფინანსთა სამინისტროს შიდა ვალის რეესტრში ყოველ ჩვენთაგანზე ფიქსირებული თანხა.

2002 წელს კანონის მოთხოვნების შესაბამისად ჩვენ ერთობლივი საქმიანობის სახეობა ამხანაგობის სახელწოდებაშიც ავსახეთ, 2002 წლის 17 ოქტომბრიდან ამხანაგობის სახელწოდებაში ფიგურირებს სიტყვა ბინათმშენებლობა, რედაქტირებას დაექვემდებარა დებულების სტრუქტურა, ამხანაგობის თავმჯდომარის ფუნქციები.

2. კრებამ კენჭისყრით ერთხმად დაამტკიცა "ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბინათმშენებლობის ამხანაგობა "ბაგები – 502"-ის ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულება"

3. ამხანაგობა "ბაგები-502"-ის სარჩელზე ხარვეზის შევსებისა და ჭილაიას ჯგუფის სასამართლო საქმის შესახებ (ადვოკატი მანანა აფხაძე).

მ.აფხაძემ კრებას მოახსენა, რომ ჭილაიას ჯგუფის სასამართლო საქმესთან დაკავშირებით აუცილებელია ბატონი ნუგზარ ივანიძის მოსვლა სასამართლოზე, რამეთუ ჭილაიამ წარმოადგინა ნ.ივანიძის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი პაის შეტანის შესახებ. რომელიც შემდგომ არაა რეგისტრირებული სახელმწიფოს შიდა ვალში. რაც შეეხება მტკიცებულებებს, ყველა დოკუმენტი, რომელიც ამოწეული იქნა ჩემს მიერ საქმიდან მე გამგეობას გადავეცი, ამასთან მინდა გითხრათ, რომ მე ყველა საჭირო შუამდგომლობები (საქმის ხანდაზმულობის, არასათანადო მოპასუხის) წერილობით მივაწოდე სასამართლოს. დავის წარმატებით დასრულებისათვის ნამდვილად დაგვჭირდება ყოფილი გამგეობისაგან დოკუმენტაციის ნაწილი. ჩემთვის ცნობილია, რომ ყოფილი გამგეობა ამბობდა რომ ყველა სასამართლო პროცესი მოგებული ჰქონდა, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეს თავად მოსამართლემ განუმარტა ქ-ნ დარეჯანს.

ლ.ბერუაშვილი: გამგეობის სხდომაზე ბ-ნმა ნუგზარ ივანიძემ განმარტება უკვე მოგვცა ამის შესახებ: იმ დროისათვის როდესაც სახელმწიფო ვალის ფიქსირება ხდებოდა მოსარჩელეები უკვე გარიცხულნი იყვნენ კოოპერატივიდან, შიდა ვალი კი იმჟამინდელ იურიდიულ პირებზე, კოოპერატივებზე ფიქსირდებოდა. ბ-ნ ნუგზარი წინა კრებაზე იყო, ამჯერად არ გახლავთ, თუმცა რაც შეეხება სასამართლოსათვის სათანადო მტკიცებულებების წარდგინებას, რომელიც წინა

გამგეობის თავმჯდომარეს აქვს თუ წესით უნდა ჰქონდეს: გამგეობის იმავე სხდომაზე, სადაც თავმჯდომარეთა მიერ უფლებამოსილებების გადაბარებაის საკითხი ირჩეოდა ნ.ივანიძემ მზია გოშაძეს შეასხსენა, რომ მას, როგორც ყოფილ თავმჯდომარეს იმ გამო არ სჭირდებოდა უფლებამოსილების გადაბარება ახალი თავმჯდომარისათვის (პ.ჯინჯოლავა), რომ ამხანაგობის მთელი დოკუმენტაცია, ისედაც ყოველთვის, ყველა დროს ბ-ნ პალადისთან ინახებოდა. მიმაჩნია, რომ ზოგადად, საქმისათვის საჭირო დოკუმენტები პრინციპში მოძიებადია, თუ არა, აღდგენადია მოწმეებისა და კრების გადაწყვეტილებით, თუმცაღა რა თქმა უნდა ეს ჩვენგან მეტ ძალისხმევასა და დროს ითხოვს.

მ.აფხაძე: რაც შეეხება ბაგები-504-ის ხელშეკრულების შეწყვეტაზე სასამართლო სარჩელზე ხარვეზს: უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის სახელმწიფო ბაჟი განსაზღვრულია მაქსიმუმ 3000 ლარით, რომლის გადახდის საკითხია ხარვეზში ფიქსირებული. იმ შემთხვევაში თუ სარჩელში საჯარო რეესტრში 502-ის ქონების რეგისტრაციის საკითხს მოვხსნით ეს თანხა არ გვექნება გადასახდელი, თუმცა მე მოვალე ვარ გაგაფრთხილოდ, ვინაიდან მშენებელი თანამესაკუთრედაა საჯარო რეესტრში ფიქსირებული, ხელშეკრულების შეწყვეტით თანამესაკუთრის (მშენებლის) გაყვანას დასჭირდება შემდგომი ცალკე სასამართლო დავა.

ხ.რუხაია: მიმაჩნია, რომ ეს დავა შემდგომ ფინანსურ პრობლემებს შეგვიქმნის და მოდით ქონებრივი ეს დავა თავად მშენებელმა წამოიწყოს, ამაზე გუშინ ვისაუბრეთ და თითქოს შევთანხმდით მეც, ქ-ნი ლიაც და ქ-ნი დარეჯანი.

დ.კახიძე: იმ მიზეზით, რომ დღემდე საჯარო რეესტრში 502-ის წევრებზე ინდივიდუალურად საკუთრება არ ყოფილა რეგისტრირებული, და თანამესაკუთრედ დღეს ჩვენი მშენებელია (რომელიც ბ-ნმა პალადიმ თანაბარიწილით ჩვენთან, მაგრამ თანასაკუთრებაში 2/3-ის მესაკუთრედ დააფიქსირა ხელშეკრულებით), ამიტომ ეს საკითხი სწორედ ისე უნდა გადაწყდეს როგორც ადვოკატი გვირჩევს, მე მჯერა მისი, ამასთან უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთაგანაც კი მასზე მაღალკვალიფიციური შეფასებები მოვისმინე.

ლ.ბერუაშვილი: მე დღეს, მანამ თქვენთან მოვიდოდი უძრავ ნივთზე ჩვენი უფლების რეგისტრაციის საკითხებთან დაკავშირებით საჯარო რეესტრშიც გავიარე სპეციფიკური, საჭირო კონსულტაციები.

სარჩელში მითითებული სასარჩელო მოთხოვნის შეცვლის წინააღმდეგი ვარ, პირიქით, სამომავლოდ გაზრდის მომხრეც ვიქნები იმ თვალსაზრისით, რომ სასამართლომ კარგად დაგვიკონკრეტოს ხელშეკრულების შეწყვეტიდან გამომდინარე ჩვენი უფლება ქონებაზე, კერძოდ ჩვენი პროექტის გადაკეთებული პროექტიც 502-ის საკუთრებაა. ამასთან, ვიმეორებ, კეთილსინდისიერი მყიდველინი, ჩვენი თანამესაკუთრეები არიან, **ბ-ნი ნაპო კვარაცხელიას სევდიანი იუმორით ნათქვამი ტერმინით ვისარგებლებ და "დაბოლების" ძველი** ტექნიკის (თურმე ა.წ 17 ივნისს შეტანილ ჩვენს სარჩელს გაუჩერებია თურმე აგერ 2 წელიწადია თუ უფრო მეტი ჩვენი მშენებლობა) **ავტორებს მინდა ვუთხრა, სასამართლო წესით მორიგება მშენებელთან თუ პოტენციურ ინვესტორთან სამომავლოდ მრავალ საკითხს ამარტივებს, გვაძლევს მეტ გარანტიებს თავიდან ავიცილოთ თაღლითები და ზოგადად დავაჩქაროთ პროცესები, კვლავ მაქვს ყოველ თქვენთაგანთან რიტორიკული კითხვა და მაქვს ჩემი პასუხიც: 30 მილიონიანი მოგება გარანტირებული ჰქონდა მშენებელს, ჩვენნაირად გაყუჩებულები ინატრო უნდა, და მაინც არ აშენდა სახლი, რატომ?!!! იმიტომ რომ თუ 80-იანი წლების პარტიული ნომენკლატურა თავისი შვილებისა და შვილიშვილებისთვის ინახავდა ამ ტერიტორიას (გახსოვთ ალბათ გალაქტიონის ძეგლის აღებასაც კი**

გვაბრალებდნენ, კიდევ კარგი ეს ძეგლი არსად გადაუტანიათ) ამჯერად დაფულიანებულ ნომენკლატურას ჩვენი სახლის ადგილზე კომერციულ ფართობები უნდა, და ჩვენ, ჩვენ სათვალავში არავის არ ვყავდით და არც ვეყოლებით თუ ერთად არ დავიცავთ ჩვენს უფლებებს. მოდით ჩვენი პოზიციები კენჭისყრაში გამოვავლინოთ.

კამათში გამოსულმა დევდარიანმა უკმაყოფილება გამოთქვა რომ გამგეობის წევრებს ერთმანეთი ვერ გადაურწმუნებიათ, აქ განსხვავებულ პოზიციებს გამოთქვამენ და რა უნდა ქნას კრებამ?

3. კრებამ კენჭისყრით (1 წინააღმდეგი, 3-მა თავი შეიკავა) მიიღო გადაწყვეტილება არ შეცვალოს სასარჩელო მოთხოვნა და შეიტანოს მოთხოვნილი სახელმწიფო ბაჟი 3000 ლარის ოდენობით.

დაევალოს ხაზინადარ ნანა შონიას ჩაიბაროს შეგროვილი თანხა.

4. ბაბები-502-ის წევრთა საკუთრების დაცვის მიზნით ყველა ინსტანციის სასამართლოში ამხანაგობის წარმომადგენლების წარდგინება;

კრებამ ერთხმად დაამტკიცა: ამხანაგობა ბაბები-502-ის ინტერესების დამცველად ადვოკატი მანანა აფხაძე, ხოლო ამხანაგობა ბაბები-502-ის უფლებებისა და საკუთრების დაცვის საკითხში წარმომადგენლებად ყველა ინსტანციის სასამართლოებსა (სარჩელის აღძვრის ჩათვლით) და საჯარო სტრუქტურებთან და ფიზიკურ პირებთან სამართლებრივ ურთიერთობებში – გამგეობის თავმჯდომარე დარეჯან კახიძე და გამგეობის წევრი – ლია ბერუაშვილი.

5. მიმდინარე საკითხები:

კომისიებისა და მათი თავმჯდომარეების დამტკიცების შესახებ.

ა) კრებამ ერთხმად დაამტკიცა კომისიები და მათი თავმჯდომარეები,

კრების იმ მონაწილეთა სია, რომლებმაც გამოთქვეს ამ კომისიებში მუშაობის სურვილი გადაეცა გამგეობას დასამტკიცებლად.

1. საფინანსო კომისია – ბ-ნ ანზორ საჯაია
2. საზედამხედველო კომისია – ბ-ნ ბესარიონ დოჭვირი
3. საპრეტენზიო კომისია – ბ-ნ თემურ დავითაშვილი

ბ) ბ-ნ ზაურ ჯინჯოლავას გამგეობიდან ნებაყოფლობით გასვლის შემდეგ გამგეობის ახალი წევრის არჩევა; და

გ) ინფორმაცია ყოფილი გამგეობის (ყოფილი: თავმჯდომარე ბ-ნ პალადი ჯინჯოლავა, ხაზინადარი ბ-ნ ელგუჯა აკობია და მდივანი – ამჟამინდელი გამგეობის წევრი ქ-ნ მარადინა გოშაძე-ცინცაძისა) მიერ ამხანაგობის საძმიანობისათვის საჭირო დოკუმენტაციის არგადმოცემის შესახებ.

საკითხები გადაიდო, გადაეცა გამგეობას.

დღის წესრიგის გარეშე დაყენებული ლალი გულუას, დიმიტრი ლეთოდიანის, ცეცილი დონაძის წინადადება ბაგები-504-ში დოკუმენტების გაყალბებასთან დაკავშირებით პარალელურად მივმართოთ პროკურატურას გადაიდო, გადაეცა გამგეობას.

ბ-ნმა გ. ნაჭყებიამ წამოაყენა წინადადება: ერთხელ კიდევ მოვთხოვოთ ძველ გამგეობას გადმოგვცეს დოკუმენტაცია. უარის თქმის შემთხვევაში გამგეობამ განიხილოს მათი პასუხისმგებლობის საკითხი, კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში.

ხიმური რუხაია
კრების თავმჯდომარე
ლია ბერუაშვილი
კრების მდივანი

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N090303519
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	17.07.2009 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	ხელმოწერის ნამდვილობის დამოწმება
ნოტარიუსი	მედეა გვაზავა
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი #22, II სართული
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	22-59-42
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	69041763764309



სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის დროს გაკეთების შესახებ) მიღება-გადაბოჭმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ-გვერდზე www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 95 35 71